ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №14
2024 წლის 22 ოქტომბერი

დაბა ხულო

„ხულოს მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთის განსაზღვრის შესახებ“ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ხულოს მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთის განსაზღვრის შესახებ“ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის №1 დადგენილებით დამტკიცებული „დანართი 1“-ის მე-4 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. მოსაკრებლის გაანგარიშების წესი

1. მოსაკრებელი გამოიანგარიშება ობიექტის პროექტით განსაზღვრული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ($კ_2$) საანგარიშო ფართობის გადამრავლებით მოსაკრებლის განაკვეთზე.

2. მოსაკრებლის გადახდევინებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურს.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხულოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **რენარ ბოლქვაძე**